„ვამტკიცებ“
სკოლის დირექტორი
ნ.ჩხარტიშვილი

Nikoloz Chkhartishvili 01011053416
Digitally signed by Nikoloz Chkhartishvili
Date: 2023.09.08 11:41:33

შპს ზოგადსაგანმანათლებო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი

I.ზოგადი დებულება

1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა „ინტელექტ-პლიუსის“ მიერ (შემდგომში „სკოლა“) მისი მისიის, მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები.
2.სკოლის ძირითადი მიმართულებაა მოსწავლეზე ორიენტირება, ამიტომაც ის დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სასკოლო გარემსთან ადაპტაციას და გააადვილოს სასწავლო პროცესში პირველკლასელთა და სხვა სკოლიდან/უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა.
3.ეს მექანიზმი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსწავლეს, წინა პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები.
4. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე.

II.ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ტერმინებს (რომელიც განიმარტება სკოლის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე) აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ადაპტაცია – ბავშვის შემეცნებითი, მოტივაციური და ემოციურ-ნებაყოფლობითი სფეროების რესტრუქტურიზაცია სისტემატურ ორგანიზებულ განათლებაზე გადასვლისას, ეს არის მოსწავლის უნარი, შეეგუოს სასკოლო ცხოვრებასა და სასწავლო პროცეს, დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
- დეზადაპტაცია – მდგომარეობა, როდესაც მოსწავლე ვერ ეგუება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას, ვერ ამყარებს წარმატებულ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან და არ აქვს სურვილი და შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში; ეს არის სასკოლო ცხოვრების ტემპთან ადაპტაციის შეუძლებლობა.

III. ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები

მოსწავლის წარმატებული ადაპტაციის პროცესი დამოკიდებულია სასკოლო საზოგადოების ერთობლივ კოორდინირებულ მუშაობაზე. ამ პროცესში ჩართულია სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, დამატებითი განათლების დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, სკოლის ფსიქოლოგი, კლასის დამრიგებელი, აღმზრდელი (1-ლ კლასში), მოსწავლის მშობელი. პედაგოგიური კოლექტივის წევრების საქმიანობა, განსაზღვრული მათი მოვალეობებით, ხელს უწყობს გამარტივებულ და რბილ ადაპტაციას.

IV. მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორები

მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

- მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი;
- სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე – ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლე ვერ ახერხებს სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევას, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე. მაგალითად, უცხო ქვეყნის მოსწავლეებს უწევთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით იმ საგნების დაძლევა, რომელიც არ გაუვლიათ. აღნიშნულმა არ უნდა დააზიანოს მოსწავლის თვითშეფასება და არ უნდა უბიძგოს მას ისეთი ქმედებებისკენ, რომელიც ხელს შეუშლის მისი აკადემიური უნარების ჩამოყალიბებას და მიღწევებს;
- იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც გააჩნიათ კულტურული განსხვავებულობა, მასწავლებლები ატარებენ აქტივობებს/ღონისძიებებს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად.
- მნიშვნელოვანია კლასის დამრიგებლის როლი. მან უნდა სცადოს გააცნოს მოსწავლეებს კონკრეტული კულტურის ზოგადი მახასიათებლები მათთვის საინტერესო კუთხით, გამოხატოს პატივისცემა იმ კონკრეტული კულტურის მიმართ, დაამყაროს მარტივი კომუნიკაცია მოსწავლესთან და წაახალისოს სხვა თანაკლასელებიც, ჩართონ იგი საერთო აქტივობებში, როგორიცაა სხვადასხვა სასკოლო თუ საკლასო პროექტები, ჯგუფური დავალებები, თამაშები, შეჯიბრებები და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას, სწორედ კლასის დამრიგებელმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს (ასაკის გათვალისწინებით) და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია. დამრიგებელმა უნდა იზრუნოს

დადებით ფსიქოლოგიურ მიკროკლიმატის შექმნაზე, რაც ხელს უწყობს ყველა ბავშვის ემოციურ კომფორტს;

- ფსიქოლოგის როლი – პირველკლასელებთან წლის განმავლობაში ატარებს მეცადინეობებს, რომელიც ეხმარება ეფექტურ ადაპტაციაში (ბავშვების თანატოლებთან და მასწავლებლებთან წარმატებული ურთიერთობის სწავლება, შფოთვის და ნერვულ-ფსიქიკური დაძაბულობის რედუქცია და სხვა აქტივობები) . ახალგადმოსულ მოსწავლეებთან კონსულტაციების ჩატარება; ასევე ,იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გამოუვლინდება დეზადაპტაციის ნიშნები, ის აკვირდება და შემდგომ გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს;
- მშობლის როლი – მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადპტაციისათვის უმნიშვნელოვანესია მშობლის ჩართულობა. უმეტესად, მოსწავლის დეზადაპტაციის ნიშნები სახლში უფრო შესამჩნევია, ვიდრე სკოლაში. ამდენად, მოსწავლის მშობელი მყისიერად უნდა იქნას ინფორმირებული მოსწავლის ადაპტაციისა თუ დეზადაპტაციის ტემპების შესახებ, რათა დროულად იქნას დეზადაპტაციის ნიშნები გამოვლენილი და მოსწავლეს გაეწიოს შესაბამისი დახმარება; ამის შესახებ მას ატყობინებს კლასის დამრიგებელი, ფსიქოლოგი ატარებს მშობლებთან საჭირო კონსულტაციებს;
- გაცნობითი ვიზიტი – სასწავლო პროცესის დაწყებამდე პირველკლასელებისთვის ორგანიზებულია „ღია კარის დღე“, ასევე ახლად გადმოსული მოსწავლეებისთვის სწავლის დაწყებამდე წინა დღეს ხდება სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება.

V.პირველკლასელთა ადაპტაცია

1. სასწავლო წლის დასაწყისში ფსიქოლოგი ატარებს მოსწავლეების ფსიქოლოგიური მზაობის დიაგნოსტიკას, რომლის მთავარი მიზანია მოცემული ასაკის ძირითადი ფსიქოლოგიური ასპექტების ჩამოყალიბების დადგენა,რომელიც საჭიროა წარმატებული სწავლისათვის (თვითრეგულაციის,ნატიფი მოტორიკის,ლოგიკური აზროვნებისა და ყურადრების მდგომარეობის დადგენა). ინფორმაციას დადგენილი შედეგებისა და საჭიროებების შესახებ აწვდის კლასის დამრიგებლებსა და მშობლებს;
2. პირველკლასელის ადაპტაციისათვის, პირველ რიგში, სასურველია ბავშვისთვის სკოლის შესახებ პოზიტიური განწყობის შექმნა;
3. მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლასის დამრიგებლის, მასწავლებლის და აღმზრდელის დამოკიდებულება და პროფესიული უნარები. ადაპტაციას შესაძლებელია ხელი შეუწყოს დაგეგმილმა თამაშებმა, მოსწავლისათვის საინტერესო განმავითარებელი აქტივობების გამოყენებამ, სასურველი ქცევის წახალისებამ, ექსკურსიებმა, თანაკლასელებთან კომუნიკაციამ, წყვილსა და ჯგუფში მუშაობამ ა.შ.;

4.პირველკლასელთა წარმატებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაციისათვის მთელი წლის განმავლობაში ფსიქოლოგი ატარებს მეცადინეობებს.
5.სკოლის ადმინისტრაციას აქვს შედგენილი ისეთი დღის რეჟიმი, რომელიც აძლევს ბავშვებს სწავლისა და დასვენების შესაძლებლობას. ეს ყველაფერი ხელს უწყობს შეუფერხებლად გაიარონ ადაპტაცია.
6. მშობელთა პირველ კრებაზე დამრიგებელი და ფსიქოლოგი აწვდიან შემდეგ ინფორმაციას:

- რა არის ადაპტაცია,დეზატაპტაციის ნიშნები;
- მოსწავლის წარუმატებლობამ არ უნდა გააღიზიანოს იგი. ამ დროს მოსწავლეს სჭირდება პოზიტიური განწყობები და რაც შეიძლება ნაკლები სტრესი. ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად რეალური შედეგისა, შესაძლებელია მოსწავლე იქნას წახალისებული დადებითი კომენტარებით და შექებით;
- სკოლასთან ადაპტაციის პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახლში დღის რეჟიმის სწორად შედგენა. მოსწავლის დატვირთვის შესამცირებლად და გადაღლის თავიდან ასაცილებლად მშობელს ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს მოსწავლის დღის რეჟიმის ორგანიზება. მოსწავლეს უნდა რჩებოდეს დრო თამაშისთვის, გართობისათვის, მისთვის საინტერესო მხატვრული თუ მულტიპლიკაციური ფილმების სანახავად, სასეირნოდ, სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის და ა.შ.
- მოსწავლე კვირის რამდენიმე დღის განმავლობაში დააკავოს ფიზიკური აქტივობით. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის სტრესის დონის კლებასა და სიჯანსაღეს;
- ეძლევა რეკომენდაცია, არავის შეადაროს საკუთარი შვილი. ასეთი შედარებებით შეიძლება მოსწავლეს დავაკარგვინოთ საკუთარი თავის რწმენა და თვითშეფასებაც დავუქვეითოთ. შეიძლება მხოლოდ მოსწავლის დღევანდელი მდგომარეობის შედარება მის წარსულ მიღწევებთან და სასურველია, თუ ეს მოხდება მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში.

VI. სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია

1.სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისთვის საჭიროა ინფორმაცია ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური, უნარების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების ცოდნა. სკოლამ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით. ობიექტურ წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ბავშვის საჭიროებები და მოცემულია სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციები.
2.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეგისტაციის შემთხვევაში, სკოლა გაითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს (მაგალითად ფიზიკური გარემოს

ადაპტირებასთან დაკავშირებული საჭიროებებს), რათა მომავალმა მოსწავლემ შეძლოს გარემოში თავისუფლად გადაადგილება.
3. სკოლის მხრიდან მშობლები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას, თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. ასევე, თუ რა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები მუშაობენ სკოლაში, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი, როგორ მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება.

VII.გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია

1. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
2. დამრიგებელ ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს;
3. ახალი მოსწავლეს პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
4. თანაკლასელები უზრუნელყოფენ ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (სააქტო დარბაზის, სპორტული დარბაზის, კაბინეტების, სასადილო და ბუფეტის, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას);
5. დამრიგებელი წინასწარ აცნობს კლასის მშობლებს ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ (შესაძლებლობის შემთხვევაში მოსწავლეებსაც ესაუბრება);
6. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.
7. წლის განმავლობაში ორგანიზებულია სასწავლო -შემეცნებითი ექსკურსიები, სადაც არაფორმალურ გარემოში, თამაშითა და სხვა აქტივოებებით ხდება მოსწავლეთა უკეთ გაცნობა და ადაპტაცია.
8.ახალ მოსწავლესთან გასაუბრებას ატარებს სკოლის ფსიქოლოგი, საჭიროების შემთხვევაში აგრძელებს მასთან მუშაობას კონსულტაციების სახით.

VIII. მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე

სასწავლო წლის პირველი დღე ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სხვადასხვა სახალისო აქტივობების მეშვეობით "ყინულის გალღვობა" და მოსწავლეთა დაახლოება. პირველკლასელებს საჩუქრების სახით ურიგდებათ საინტერესო აქსესუარები და სასწავლო ნივთები.

IX. რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას

1.იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ადაპტაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ამის შესახებ მშობელი იღებს ინფორმაციას.

2.მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას არ არის საჭირო დამატებითი სპეციალური ღონისძიებების გატარება. თუმცა, აუცილებელია, მოსწავლე წახალისდეს პოზიტიური კომენტარებითა და უკუკავშირით.

X. დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები

1.იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლებმა ან დამრიგებელმა შენიშნეს დეზადაპტაციის ნიშნები, კლასის დამრიგებელი ამის თაობაზე აწვდის ინფორმაციას მოსწავლის მშობლებს;

2.ადაპტაციის პროცესში ჩართულია სკოლის ფსიქოლოგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში აკვირდება მოსწავლის ქცევას (გაკვეთილზე და შესვენების დროს),ატარებს გასაუბრებას, როგორც ინდივიდუალურად მოსწავლესთან, ისე დამრიგებლის თანდასწრებით მშობელთან. ასევე, ფსიქოლოგმა კლასთან გარკვეული აქტივობის ჩატარების გზით უნდა სცადოს მოსწავლეების დაახლოება.

3.აუცილებელია, სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში ხელი შევუწყოთ მოსწავლეს, ირწმუნოს საკუთარი ძალების, ჩამოუყალიბოს ადეკვატური თვითშეფასება და ჰქონდეს მოტივაცია.

XI. წინამდებარე დოკუმენტის გაცნობა

1. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის გაცნობას სკოლაში ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელ პირებისათვის.

2. სკოლა, საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპებს.

XII.დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია სკოლის ფსიქოლოგისა და სასწავლო პროცესის კოორდინატორის მიერ და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.